

**სააბონენტო ხელშეკრულება
სტანდარტული პირობები**

ტერმინთა განმარტება

„კომპანია“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დი +“ (საიდენტიფიკაციო კოდი #400166262).

„აბონენტი“ - ფიზიკური პირი რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს „მომსახურება“ ან/და „დამატებითი მომსახურებები“

„თვე“ - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე

„მომსახურება“ - მაუწყებლობის ტრანზიტი, რომელიც მოიცავს ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტელემაუწყებლობის საშუალებით სამაუწყებლო არხების და მაუწყებლების ტელეპროგრამების გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე უცვლელი სახით.

„მომსახურების ღირებულება“ - მიმღები მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში მომსახურების ღირებულებას შეადგენს პაკეტის საფასურს დამატებული მიმღები მოწყობილობის ქირის საფასური. მიმღები მოწყობილობის შექმნის შემთხვევაში მომსახურების ღირებულებას შეადგენს მხოლოდ Standard პაკეტით სარგებლობის საფასური.

„დამატებითი მომსახურება“ - „აბონენტისთვის“ „კომპანიის“ მიერ „სააბონენტო მოწყობილობის“ მონტაჟი, დემონტაჟი, დაზიანების შემთხვევაში შეკეთება ან/და ნებისმიერი სხვა მომსახურება, რომელიც შესაძლოა აუცილებელი გახდეს მომსახურების მიწოდების პერიოდში.

„სააბონენტო მოწყობილობა“ - „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ დროებით სარგებლობაში ან/და საკუთრებაში გადაცემული ტექნიკურ მოწყობილობათა ერთობლიობა (მიმღები, პულტი, ტელევიზორისა და მიმღების დამაკავშირებელი კაბელები, კვების ბლოკი, დაშვების ბარათი და „დამხმარე მასალები“. „აბონენტზე“ დროებით სარგებლობაში ან/და საკუთრებაში გადაცემული მოწყობილობათა ერთობლიობა)

„მიმღები“ - მიმღები-მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება ციფრული მაუწყებლობის მიღება და მიწოდება ტელევიზორისთვის.

„პულტი“ - მიმღების დისტანციური მართვის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება მიმღების მართვა (არხების გადართვა, ხმის აწევა/დაწევა და სხვა ფუნქციების შესრულება (იხილეთ ინსტრუქცია).

„დაშვების ბარათი“ - სისტემასთან მიერთების ელექტრონული ბარათი (ციფრული ტელევიზიის ინდივიდუალური მიმღების ტექნიკური ელემენტი), რომელიც აძლევს შესაძლებლობას მის მფლობელს აქტივაციის შემდეგ მიუერთდეს სისტემას და მიიღოს ციფრული ტელევიზიის პაკეტი, იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის ღირებულების საფასურიც მას გადახდილი აქვს.

„ანტენა“ - მოწყობილობა, რომელიც უძრავ მდგომარეობაში ფიქსირდება მყარ საყრდენზე, პირდაპირი ხედვით გადამცემიდან სიგნალის მიღების მიზნით.

„დამხმარე მასალები“ - კაბელი, კონექტორები, სპლიტერი, დისეკი, ელემენტი, სკობი, ჟგუტი, დუბელი, ჩასახრახნი, საიზოლაციო მასალა, სიგნალის მიღების და განაწილების აქტიური და პასიური ელემენტები. საინსტალაციო სამუშაოების დროს გახარჯული „დამხმარე მასალები“ აღირიცხება „მომხმარებელთან“ გაფორმებული „მიმღები მოწყობილობის და სახარჯი მასალების გადაცემის აქტი - „მომსახურების ჩაბარების ოქმში“, რომელიც თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „კომპანია“ ახორციელებს „აბონენტისათვის“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას. კერძოდ, „კომპანია“ „აბონენტს“ ემსახურება მაუწყებლობის ტრანზიტით. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში „კომპანია“ „აბონენტს“ არჩეული პაკეტის შესაბამისად დროებით სარგებლობაში ან/და საკუთრებაში გადასცემს სააბონენტო მოწყობილობას, ხოლო აბონენტი გადაიხდის მომსახურების ღირებულებას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მხარეთა დამატებითი შეთანხმებით

2. ქსელში ჩართვის და მომსახურების პირობები

2.1 სააბონენტო მოწყობილობის მონტაჟისა (რაც დასტურდება აბონენტთან გაფორმებული სააბონენტო ხელშეკრულებით) და სააბონენტო გადასახადის გადახდის შემდგომ, კომპანია უზრუნველყოფს აბონენტის ქსელში ჩართვას სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 საათის განმავლობაში;

2.2 მომსახურება აბონენტს მიეწოდება მხარეთა შორის წინასწარ განსაზღვრულ/შეთანხმებულ მისამართზე, რაც ფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3 მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 „კომპანია“ ვალდებულია:

- 3.1.1 2.1 მუხლის შესაბამისად განახორციელოს „აბონენტისთვის“ მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით და ხარისხით;
- 3.1.2 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს „აბონენტისთვის“ ხარისხიანი მომსახურების მიწოდება უწყვეტად 24 საათის განმავლობაში. ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებს.
- 3.1.3 თუ აბონენტს კომპანიის ბრალით არ მიეწოდება ან მიეწოდება უხარისხო მომსახურება „აბონენტი“ არ იხდის „კომპანიის“ ბრალით უხარისხოდ მიწოდებული ან მიუწოდებელი მომსახურების დროის ღირებულებას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე პუნქტით დადგენილი ღირებულების კომპენსირება აბონენტისათვის მოხდება არა ფულად ერთეულში გამოხატული საშუალებით, არამედ ფულადი ერთეულის ოდენობის პროპორციული მომსახურებით.
- 3.1.4 3.1.2 და 3.1.3 პუნქტებით დადგენილი წესი არ ვრცელდება სარემონტო, პროფილაქტიკურ სამუშაოებსა და გადაუდებელ შემთხვევებზე; კომპანია ასევე არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მისაღებად აბონენტი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ სააბონენტო მოწყობილობას ან თუ ეს უკანასკნელი მოდიფიცირებულია ან გარემონტებულია კომპანიასთან შეთანხმების გარეშე;
- 3.1.5 „აბონენტის“ შეტყობინების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (შეტყობინებიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) აღმოფხვრას მისი მიზეზით გამოწვეული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დაზიანება;
- 3.1.6 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოემსახუროს „აბონენტს“ ცხელი ხაზით **(032) 2051212**;
- 3.1.7 მომსახურების ტარიფების ცვლილების შემთხვევაში ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს „აბონენტს“ ინფორმაცია 1 (ერთი) თვით ადრე;

3.2 „კომპანია“ უფლებამოსილია:

- 3.2.1 „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად, ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პაკეტის შემადგენლობა (სატელევიზიო არხები) რის თაობაზეც „აბონენტს“ უნდა ეცნობოს ინდივიდუალური შეტყობინებით ცვლილებამდე ერთი თვით ადრე;
- 3.2.2 პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას დროებით შეაჩეროს ან შეუზღუდოს „აბონენტს“ მომსახურების მიწოდება, რის შესახებაც უნდა აცნობოს წინასწარ 3 დღით ადრე; „აბონენტს“ შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტაზე ან რეგისტრაციის ადგილზე, მათი შეცვლის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „კომპანიას“, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად;
- 3.2.3 „კომპანიის“ მიერ შეზღუდული მომსახურების აღდგენა მოხდება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

3.3 „აბონენტი“ ვალდებულია:

- 3.3.1 აწარმოოს ანგარიშსწორება „კომპანიასთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- 3.3.2 ჰქონდეს გამართული სააბონენტო მოწყობილობა;
- 3.3.3 არ განახორციელოს სააბონენტო მოწყობილობის მოდიფიცირება ან გარემონტება კომპანიასთან შეთანხმების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის;
- 3.3.4 შეატყობინოს „კომპანიას“ მომსახურების მიწოდების შეფერხების შემთხვევაში აღნიშნული ფაქტის შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში; შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი „კომპანიის“ თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში;
- 3.3.5 მომსახურების მიწოდების ადგილზე უზრუნველყოს მხოლოდ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლების დაშვება მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად და ხელი შეუწყოს მათ განსახორციელებელ ქმედებაში;
- 3.3.6 კომპანია პასუხისმგებელია მხოლოდ მისი წარმომადგენლების მიერ შესრულებული მომსახურების ხარისხზე;
- 3.3.7 მოიპოვოს სააბონენტო მოწყობილობების მონტაჟისათვის ყველა აუცილებელი ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან;
- 3.3.8 არ განახორციელოს მომსახურების მიყიდვა ან რაიმე ფორმით გადაცემა, მიწოდება ან გაყოფა მესამე პირებისათვის „კომპანიისგან“ დამოუკიდებლად; არ მოახდინოს მიღებული მომსახურების შემდგომი გადაცემა, საჯარო ჩვენება (საკონფერენციო დარბაზებში, ჰოლებში, სილამაზის სალონებში, ბარებში, რესტორნებში, სასტუმროებში, საავადმყოფოებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში),

ხელახალი ტრანსლაცია, ჩაწერა, ასლის გადაღება და გავრცელება და სხვა ნებისმიერი საშუალებით მომსახურების კომერციული მიზნით გამოყენება. საექსპოზიციო კომპანიის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია მიაწოდოს კომპანია სრული და უტყუარი ინფორმაცია/დოკუმენტები, რომლებიც ასახავს წინამდებარე პუნქტის მოთხოვნების შესრულების/შეუსრულებლობის ფაქტს, მათ შორის მესამე პირებთან ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულებები/ინფორმაცია;

- 3.3.9 აუნაზღაუროს კომპანიას სააბონენტო მოწყობილობის დაზიანებით მიყენებული ზიანი;
- 3.3.10 დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიას აბონენტის შესახებ ინფორმაციის (სახელის, გვარის და მისამართის), ელექტრონული ფოსტის მისამართის ან სხვა, მათ შორის, საკონტაქტო (საკონტაქტო ნომრის) მონაცემების ცვლილების შესახებ და ასევე მინდობილობის ან რწმუნების შემთხვევაში მისი ცვლილების ან გაუქმების შესახებ;
- 3.3.11 ქსელში ჩართვა და მომსახურებების მიღება მოახდინოს მხოლოდ კომპანიის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობით. აბონენტს ეკრძალება კომპანიის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დარღვევა, ან მისი კოპირება.

4 მხარეთა პასუხისმგებლობა:

- 4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.8 და 3.3.11 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას პირგასამტეხლო (ჯარიმა) 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის, შესაბამის კურსით ლარში, ოდენობით. ამასთანავე, კომპანიას შეუძლია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.8 და 3.3.11 პუნქტების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აბონენტი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას 3.3.8 პუნქტის დარღვევით აბონენტის მიერ სხვა მესამე პირ(ებ)ისათვის მომსახურების (დამატებითი მომსახურებების) მიწოდებით მიღებული შემოსავლების მთლიანი თანხები (თუ შეუძლებელია მესამე პირებისგან მიღებული თანხების ოდენობის დადგენა, მაშინ აბონენტის მიერ მიღებული/მისაღები თანხები განისაზღვრება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფების/კომპანიის მიერ განსაზღვრული ანალოგიური მომსახურების ტარიფების შესაბამისად, მესამე პირების რაოდენობის მიხედვით, აბონენტთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადის განმავლობაში);

5 ანგარიშსწორება მხარეებს შორის

- 5.1 აბონენტი ვალდებულია მომსახურების ღირებულების გადახდა აწარმოოს მის მიერ არჩეული სატარიფო პაკეტის მიხედვით;
- 5.2 მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში და მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს;
- 5.3 მომსახურების ღირებულების გადახდა შესაძლებელია ნაღდი/უნაღლო ანგარიშსწორებით და სწრაფი გადახდის ტერმინალებით;
- 5.4 „აბონენტის“ მიერ მომსახურების ღირებულება გადაიხდება წინასწარ, მომსახურების მისთვის სასურველ თვეთა რაოდენობის ეკვივალენტური ფულადი თანხის „კომპანიაში“ კუთვნილ ბარათზე შეტანის, დეპონირების გზით, რა პერიოდითაც (თვეების შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა;
- 5.5 ბარათზე მომსახურების ღირებულების თანხის ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს დაებლოკება მიმღები მოწყობილობა. აბონენტს მომსახურება შეუწყდება იმ შემთხვევაში თუ იგი არ გადაიხდის მის მიერ არჩეული პაკეტის ღირებულებას. ამავდროულად „აბონენტი“ არ თავისუფლდება ქირის თანხის გადახდისგან (აღნიშნული არ ვრცელდება აბონენტის მიერ მიმღები-მოწყობილობის ყიდვის შემთხვევაზე);
- 5.6 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი იხდის მიმღები მოწყობილობის მხოლოდ ქირის საფასურს, მან უნდა მიმართოს კომპანიის სათაო ოფისს, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. #1 ან თი-ბი-სი ბანკის ნებისმიერ ფილიალს. ამ პუნქტით დადგენილი გადასახადის ბანკში თანხის გადახდის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია მიუთითოს საიჯარო ანგარიში, რომელიც შექმნილია, მხოლოდ საიჯარო მომსახურებისათვის (საიჯარო ანგარიში); აბონენტის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია აბონენტის ნომრის მითითება; წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულების შემთხვევაში აბონენტს არ დაებლოკება მიმღები მოწყობილობა.
- 5.7 წინამდებარე ხელშეკრულების 5.6 პუნქტით დადგენილი პირობა არ ვრცელდება თუ აბონენტი ახდენს ანგარიშსწორებას მომსახურების ღირებულების მიხედვით, რაც გულისხმობს შერჩეული პაკეტის ფასისა და ქირის ფასის ერთდროულად გადახდას;

5.8 ორი თვის განმავლობაში ზედიზედ მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტი ქსელში აღდგენისთვის იხდის 5 (ხუთი) ლარს ერთი მიმღები მოწყობილობისთვის. აბონენტის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემდგომ აბონენტად აღდგენის დროს პირველ რიგში დაიფარება ქირის ღირებულების დავალიანება, შემდგომ აბონენტად აღდგენის საფასური, შემდგომ პირველი თვის ქირის ღირებულება და ბოლოს მომსახურების საფასური. მიმღები-მოწყობილობის ნასყიდობის შემთხვევაში აბონენტის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემდგომ აბონენტად აღდგენის დროს პირველ რიგში დაიფარება აბონენტად აღდგენის საფასური და შემდგომ მომსახურების საფასური.

6 საგარანტიო პირობები

- 6.1 ქარხნული წუნის შემთხვევაში სააბონენტო მოწყობილობის შეცვლა შესაძლებელია მისი „აბონენტისათვის“ გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის შემდგომ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ქარხნული წუნის არსებობისას ხორციელდება ნივთის შეკეთება (თუ შეკეთება შეუძლებელია, ხდება ნივთის შეცვლა); კომპანია ქარხნულ წუნს ადგენს - ნივთის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში, ხოლო ქარხნული წუნის დადგენის შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია შეაკეთოს/შეცვალოს ნივთი 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
- 6.2 აბონენტის ბრალეულობით სააბონენტო მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში აბონენტი იხდის შესაბამისი ნივთის ღირებულებას, რის შემდეგაც, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში „აბონენტს“ დროებით სარგებლობაში გადაეცემა შესაბამისი ნივთი;
- 6.3 აბონენტი საგარანტიო პირობებით სარგებლობისთვის მიმართავს კომპანიის სერვის ცენტრს, მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. #1;

7 დავის გადაწყვეტა

- 7.1 მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში „აბონენტს“ შეუძლია შესაბამისი საჩივრით მიმართოს „კომპანიის“ მომხმარებელთა საჩივრების განმხილველ კომისიას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ან სასამართლოს. მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი კომისია დავას განიხილავს მოქმედი კანონმდებლობითა და „კომპანიის“ მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი კომისიის დებულებით დადგენილი წესით, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებული კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში;
- 7.2 „აბონენტს“ უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირდაპირ მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ან სასამართლოს;

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით;
- 8.2 „აბონენტი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- 8.3 აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს მომსახურების პირველადი ჩართვის/ინსტალაციის საფასური 5 ლარის ოდენობით, თუკი აბონენტს იგი არ გადაუხდია;
- 8.4 „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ვალდებულია „აბონენტს“ ინდივიდუალური შეტყობინება გაუზიაროს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 10 (ათი) დღით ადრე;
- 8.5 თუ მომსახურების შეწყვეტიდან 120 (ასოცი) დღის ვადაში „აბონენტი“ არ განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აბონენტად აღდგენას, კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება;
- 8.6 ხელშეკრულების შეწყვეტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში „აბონენტი“ ვალდებულია დააბრუნოს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სააბონენტო მოწყობილობა იმ მდგომარეობაში, როგორშიც ჩაიბარა (ბუნებრივი ცვთვის გათვალისწინებით);
- 8.7 აბონენტის მოთხოვნით, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს სააბონენტო მოწყობილობის დემონტაჟი, თუკი შეუძლებელია აბონენტის მიერ ამ მოწყობილობის დამოუკიდებლად დემონტაჟი.
- 8.8 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება კომპანიის ლიკვიდაციის ან/და აბონენტის გარდაცვალების შემთხვევაში;
- 8.9 ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებზე.
- 8.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ მხარეთა შორის ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება;

9. გარდამავალი დებულებები

- 9.1 ის ურთიერთობანი რომელიც არ წესრიგდება აღნიშნული ხელშეკრულებით, უნდა მოწესრიგდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9.2 მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება (www.digitaltv.ge), ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მისი დანართები, მიღება-ჩაბარების აქტები და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სხვა დოკუმენტები წარმოადგენენ ერთიან ხელშეკრულებას. მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების პირობებსა და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება მომსახურების სტანდარტულ პირობებს, რომელიც პერიოდულად განახლებადია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე (www.digitaltv.ge);
- 9.3 ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა ან შესრულების დაყოვნება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. „ფორს-მაჟორული გარემოებების“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და, რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ან/და გადაეღახათ; მათ შორის, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, ომი და საომარი მოქმედებები; სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების იძულებით შეფერხებას; აგრეთვე, ისეთი ნორმატიული აქტების მიღება ან/და ამგვარში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს;
- 9.4 აბონენტი აცნობიერებს, რომ კომპანია, მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების მიწოდებისას არ წარმოადგენს შეთავაზებული სატელევიზიო პროგრამების შემქმნელს და მის მიერ მიწოდებული მომსახურება წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტს, რაც გულისხმობს სატელევიზიო არხების უცვლელი ფორმატით მიწოდებას და კომპანია გარანტიას არ იძლევა და სრულიად იხსნის პასუხისმგებლობას მესამე პირების (მაუწყებლების) საეთერო ბადეში არსებული პროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები და ა. შ.) შინაარსზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, ხელმისაწვდომობაზე და დროულობაზე, სამაუწყებლო ბადეში ცვლილებებზე, მაუწყებლების მიერ საკუთარი საქმიანობის დროებით ან საბოლოო შეწყვეტაზე. კომპანია პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ წარმოებულ სატელევიზიო არხების მაუწყებლობის ტრანზიტზე, რომელსაც აქვს კომპანიის ლოგო და რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში;
- 9.5 „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირს გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები „აბონენტის“ თანხმობის გარეშე. კომპანია აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს აბონენტს ერთი თვით ადრე საამისოდ დადგენილი წესით;